# პროექტის აღწერა

GCF ფინანსური სისტემების გამწვანების (GFS) ჩარჩო ("GCF GFS ჩარჩო" ან "ჩარჩო") გულისხმობს 620 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას, საიდანაც 434 მილიონი აშშ დოლარი ბანკის ჩვეულებრივი რესურსებიდან, 186 მილიონი აშშ დოლარი კი  მწვანე კლიმატის ფონდიდან ("GCF") გადმოირიცხება. პროგრამა ხორციელდება სომხეთში, ეგვიპტეში, იორდანიაში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთის რესპუბლიკაში, მოლდოვაში, მონღოლეთში, მაროკოში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, სერბეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც 13 "შესაბამისი ქვეყანა").

ჩარჩოს ფარგლებში სესხები გაიცემა პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებზე ("PFIs")  სათბურის გაზების დაბალ ემისიებსა და კლიმატისადმი მდგრად განვითარებაში განსახორციელებელი ინვესტიციებისთვის, გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით სესხების გაცემის გზით კერძო და საჯარო სექტორის ბენეფიციარებისთვის (მათ შორისაა, ფიზიკური პირები, MSME და საშუალო კაპიტალის საწარმოები, ტექნოლოგიების მომწოდებლები, მწარმოებლები, მოვაჭრეები და დამყენებლები/მომსახურების მიმწოდებლები, სამშენებლო კომპანიები, საბინაო ასოციაციები და მუნიციპალიტეტები).

# პროექტის მიზნები

GCF GFS ჩარჩო უზრუნველყოფს ინტეგრირებულ ფინანსურ პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს კიდევ უფრო გაზარდოს კერძო სექტორის მიერ კლიმატთან დაკავშირებული გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით განხორციელებული პროექტების დაფინანსება. გარდა ამისა, ჩარჩო შექმნის ხელსაყრელ გარემოს და წაახალისებს ადგილობრივი PFI-ების მიერ მოწინავე გარემოს დაცვის პრაქტიკის განვითარებას, გარდამავალი გეგმების დამტკიცების ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს სისტემურ გადასვლას კლიმატთან თავსებად ფინანსურ სისტემაზე.

# გარდაქმნის ეფექტი

ETI 65-85

GCF GFS ჩარჩო ხელს შეუწყობს მწვანე გადასვლის ზემოქმედების ("TI") პროცესს მწვანე ტექნოლოგიებისა და სერვისების დაფინანსების მიმართულებისა და ადგილობრივი ფინანსური სისტემების ტრანსფორმაციის ხელშეწყობით კლიმატთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვის გზით. დაფინანსების 100% გამოიყოფა მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ("GET") შესაბამისი აქტივობისთვის.

# ინფორმაცია კლიენტის შესახებ

მსესხებლები იქნებიან PFI-ები, მათ შორის კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები და სალიზინგო კომპანიები.

# EBRD-ის დაფინანსების ჯამი

434,000,000.00 დოლარი

# პროექტის მთლიანი ღირებულება

620,000,000.00 დოლარი

# დამატებითი ფაქტორები

დამატებითი ფაქტორები ყოვლისმომცველი პაკეტის ფარგლებში შემდეგი საკითხების ერთიანობას გულისხმობს (i) გრძელვადიანი დაფინანსება ბაზარზე არსებული პირობების მიღმა, (ii) ტექნიკური თანამშრომლობა და პოლიტიკის დიალოგი PFIS-ების მიერ მწვანე სესხების გაცემის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, (iii) მასტიმულირებელი გრანტები მოქმედი PFI–ებისთვის შუალედური გეგმების შემუშავების ხელშესაწყობად და (iv) გენდერული საკითხებისათვის პრიორიტეტის მისანიჭებლად მწვანე ეკონომიკაში გენდერული ხარვეზების შევსებით. ზოგადად, პაკეტი მიზნად ისახავს კლიმატის ინვესტიციებისთვის ხელმისაწვდომი დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური სექტორის კლიმატის რისკისადმი მდგრადობის გაძლიერების პროცესში, გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

# გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

ჩარჩოს კატეგორია განსაზღვრული არ არის, თუმცა, ქვეპროექტები კლასიფიცირებულია FI კატეგორიად EBRD-ის 2019 წლის გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკის მიხედვით და ყველა მათგანისთვის ჩატარდება გარემოს დაცვისა და სოციალური წინასწარი კვლევა. ახალმა PFI-ებმა EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური წინასწარი კვლევის კითხვარი უნდა შეავსონ. არსებული

PFI-ების შემთხვევაში კი, განიხილება წინა წლიური ანგარიშები ნებისმიერი ხარვეზის გამოსასწორებლად.

PFI-ებმა უნდა შეინარჩუნონ ან გააძლიერონ გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემები გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების შესაფასებლად და სამართავად, მათ შორის, სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის და შევიწროების ("SEAH") რისკები, რომლებიც ამ ჩარჩოსთვის დაბალიდან საშუალომდე ითვლება ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე. PFI-ებმა უნდა შეასრულონ EBRD-ის შესრულების მოთხოვნები 2, 4 და 9, დაიცვან EBRD-ის არდაშვების სიები და წარუდგინონ წლიური გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიშები EBRD-ს. ბენეფიციარები უნდა ასრულებდნენ ეროვნულ კანონებს და EBRD-ის შესაბამისობის კრიტერიუმებს განახლებადი ენერგიის პროექტებისთვის.

მზის ფოტოელექტრული (PV) პროექტებისთვის საჭიროა EBRD-ის გარემოს დაცვის და სოციალური შესაფერისობის კრიტერიუმების დაცვა მზის ენერგიის ქვეპროექტებისთვის/ქვეინვესტიციებისთვის, რომლებიც ხელმისაწვდომია EBRD-ის ვებსაიტზე და შესაბამისი მითითებები.

## ტექნიკური თანამშრომლობა და გრანტის დაფინანსება

ჩარჩოს დაემატება ყოვლისმომცველი ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") პროგრამა და სხვადასხვა პოლიტიკის დიალოგი შერჩეულ ქვეყნებში (დაფინანსებულია GCF-ის და სხვა დონორების მიერ), რომლის მიზანია (i) ადგილობრივი ფინანსური სისტემების მიერ მწვანე სესხების გაცემის ხელშეწყობა გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით და (ii) ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს მოწინავე კლიმატის პრაქტიკის განვითარებას, მათ შორის, გარდამავალი გეგმების შემუშავებას კლიმატთან თავსებად ფინანსურ სისტემებზე თანმიმდევრული გადასვლის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, PFI-ებს შეეძლებათ ისარგებლონ ფინანსური წამახალისებელი გრანტებით კლიმატის გარდამავალი გეგმების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით (დაფინანსებულია GCF-ის მიერ).

## PSD ბოლოს განახლდა

8 იანვარს, 2025

## გარდაქმნის ეფექტი

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

# ბიზნეს შესაძლებლობები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

# ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

# გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების" მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

# ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში

უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

# პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებლად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.